# სალამი საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის დელეგატებს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 8 (1178) | კვირა, 19 იანვარი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 30 კაპ.


# ჩვენი დელეგატები

## ვ. ბალავაძე

მიმდინარეობდა მელბურნის ოლიმპიური ტურნირის მეორე ტური თავისუფალ ჭიდაობაში. მაყურებელთა გულისყური მიპყრობილი იყო იმ ხალიჩისაკენ, სადაც ჭიდაობდნენ ვ. ბალავაძე და იაპონელი იკედა, რომელმაც ამ შეჯიბრებისათვის სპეციალურად დაიკლო წონა. პირველი ექვსი წუთი საბჭოთა სპორტსმენის აშკარა უპირატესობით ჩატარდა, მაგრამ არაობიექტური მსაჯობის წყალობით მას მხოლოდ უმნიშვნელო უპირატესობა მიაკუთვნეს. ახლა ბალავაძეს ბრძოლა ძალაუნებურად უხდებოდა არა მარტო აშკარა მოწინააღმდეგესთან, არამედ ფარულთანაც — მსაჯებთან, რომლებიც ხშირი სიგნალით ყოველნაირად ცდილობდნენ უვნებელეყოთ ბალავაძის იერიშები და ბოლოს მაყურებელთა სასტიკი პროტესტის მიუხედავად იქამდე მივიდნენ, რომ გამარჯვება იაპონელს მიაკუთვნეს.

მელბურნში მარცხისათვის ვახტანგმა რევანში სტამბოლის მსოფლიო ჩემპიონატში აიღო, როცაყველას დაუმტკიცა, რომ იგი ქვესაშუალო წონაში უძლეველია ყველასათვის.

საფრანგეთის, შვეციის, იაპონიის, თურქეთის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების ჭიდაობის მოყვარულნი არაერთხელ აღფრთოვანებია თავისი შესანიშნავი ფანდებით სტამბოლისა და ტოკიოს მსოფლიო პირველობებში გამარჯვებულ უბადლო ოსტატს ვ. ბალავაძეს.

მაგრამ მარტო საკუთარი წარმატებებით როდი კმაყოფილდება ქართველი ფალავანი. ყოველ თავისუფალ დროს როგორც საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მომხსენებელთა ჯგუფის წევრი, იგი რესპუბლიკის ახალგაზრდებს უამბობს ნანახი ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაზე, მათ სპორტულ მიღწევებზე, საბჭოთა სპორტის უპირატესობაზე.

ამიტომაც აირჩიეს ვ. ბალავაძე საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის დელეგატად.

## ა. ასიტაშვილი

[illegible] ასიტაშვილმა, მძლეოსნობისა [illegible]ფრენბურთის მოყვარულმა, [illegible]ბაშად ზურგი აქცია ორივეს და არჩევანი კალათბურთზე შეაჩერა და შემდგომში არც უფიქრია ღალატნა მისთვის. იგი მთელი არსებით შეუდგა სპორტის ამ საინტერესო სახეობის დაუფლებას.

ტექნიკური არსენალის სიმდიდრემ ნიჭიერ სპორტსმენს გზა გაუკაფა ჯერ რესპუბლიკური ნაკრების, შემდეგ საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდისაკენ, სადაც იგი წარმატებით იცავდა სამშობლოს ინტერესებს ბუქარესტის, ვარშავის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების კალათბურთის მოედნებზე.

მაგრამ ა. ასიტაშვილის სპორტულ საქმიანობაშიც დადგა ხანმოკლე შესვენების პერიოდი. სპორტის ოსტატ ნ გვახარიასთან ერთად მან შექმნა საბჭოთა ოჯახი. მცირე ხნის შემდეგ იგი კვლავ გამოჩნდა დარბაზში, შეუდგა წვრთნას, დაუბრუნდა თავის საყვარელ გუნდს — თბილისის „ბურევესტნიკს“.

გამოჩენილი [illegible] ბურთელი ქალი [illegible] [illegible] წელს მეორედ აირჩია საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის დელეგატად.

## დ. პერტენავა

მიმდინარეობდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა ტანვარჯიშში. მეორეთანრიგოსან ჭაბუკთა შორის პირველივე იარაღიდან ლიდერობა ხელთ იგდო მკვრივი აგებულების ჭაბუკმა, რომლის ყოველ მოძრაობაში ნათლად ჩანდა გამარჯვებისადმი სწრაფვა. იგი თანაბარი სიძლიერით, დახვეწილად ასრულებდა ვარჯიშებს და მოიპოვა კიდევაც უძლიერესის სახელი. რეგულარული, ნაყოფიერი წვრთნის შემდეგ მან შეძლო „თავი დაეღწია“ მეორე თანრიგისათვის და პირველთანრიგოსანთა რიგებში ჩამდგარიყო. დ. პერტენავა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ტანმოვარჯიშე, შეყვანილი იქნა რესპუბლიკურ ნაკრებში და მონაწილეობა მიიღო მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე, სადაც საქართველოს გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვა.

დამთავრდა მოწაფეობის წლები. საშუალო სკოლის საკლასო ოთახები უნივერსიტეტის აუდიტორიებმა შეცვალეს. დ. პერტენავა შეუდგა ისტორიულ მეცნიერებათა შესწავლას, მაგრამ ერთი წუთითაც არ ივიწყებდა თავის საყვარელ ტანვარჯიშულ იარაღებს.

პერტენავამ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ახლა თბილისის პირველ საშუალო სკოლაში კომკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს და გარკვეცებული ენერგიით იბრძვის სასკოლო ფიზკულტურული ორგანიზაციის განმტკიცებისათვის.

გასული წლის დეკემბერში კომკავშირის თბილისის მორიგ კონფერენციაზე პერტენავა არჩეულ იქნა საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობის დელეგატად.

# მოწინავე რაზმი

ხვალ მუშაობას იწყებს საქართველოს კომკავშირის XXII ყრილობა, რომელიც შეაჯამებს წინა ყრილობიდან განვლილ პერიოდში კომკავშირის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს, დასახავს ახალ ამოცანებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა უკეთ შესრულებისათვის.

მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა საქართველოს კომკავშირმა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში გმირული შრომის მაგალითებს ავლენენ კომკავშირელი ახალგაზრდები, რომლებიც ყოველთვის ახალი, სასარგებლო ინიციატივის წამოწყების ავანგარდში დგანან.

ჩვენი კომკავშირის მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო უბანი ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობაა. კომკავშირის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა მშთ კომპლექსს და ამჟამად მილიონობით გოგონა და ჭაბუკი სიამაყით ატარებს ნიშნოსნის სამკერდე ნიშანს. კომკავშირის თაოსნობით თავიანთი სასარგებლო საქმიანობა დაიწყეს ბავშვთა და ახალგაზრდობის სპორტულმა სკოლებმა. კომკავშირის ხელმძღვანელობით ეწყობა მასობრივი კროსები, სათხილამურო გადასვლები, ლაშქრობანი და სხვ. იგი აგრეთვე იბრძვის საბჭოთა სპორტსმენების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, ფიზკულტურის აქტივისტების მომზადების, ახალი სპორტული ბაზების მშენებლობის კეთილშობილურ საქმისათვის.

მრავალ საერთაშორისო და საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებაში წარმატებით გამოდიან ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელი სპორტსმენები, რომლებიც ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვებით უფრო მაღლა სწევენ ჩვენი ქვეყნის სპორტული დიდების დროშას. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იბრძვიან საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის ახალი აღმავლობისათვის, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენისა და ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მაგრამ, როცა წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ნაკლოვანებებიც. ბევრ რაიონში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ფიზკულტურული ორგანიზაციები თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, ხოლო კომკავშირული ორგანიზაციები ამ საქმისაგან რატომღაც შორს დგანან და ურიგდებიან ნაკლოვანებებს. ხშირია შემთხვევა, როცა კომკავშირელი ახალგაზრდები თავს არიდებენ ფიზკულტურასა და სპორტში მუშაობას, არ გამოდიან შეჯიბრებაზე, არ არიან დაინტერესებული, რომ თავიანთ რაიონში, ქალაქში მძლავრად განვითარდეს ფიზკულტურა და სპორტი. კომკავშირელი კი ვალდებულია სისტემატურად მეცადინეობდეს სპორტის რომელიმე სახეობაში, ხშირად მონაწილეობდეს შეჯიბრებებში, აღწევდეს მაღალ სპორტულ მაჩვენებლებს. ამასთან იგი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს ყველა ახალგაზრდისათვის თავისი დისციპლინით, მომთხოვნელობით.

მიმდინარე წელი 1959 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების წელია. ყველასათვის ცნობილია, რომ მომავალ სპარტაკიადაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ-დამხოლოდ სპორტის ოსტატები. ამიტომ კომკავშირული ორგანიზაციების ვალია აქტიურად დაეხმარონ რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდობის გამოვლინებისათვის. საქართველოს კომკავშირი, როგორც ყოველთვის, ახლაც ენერგიულად იბრძოლებს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის ახალი აღმავლობისათვის, თავისი ენერგიული მუშაობით ხელს შეუწყობს საბჭოთა სპორტის მძლავრი განვითარების საქმეს.

# 23 მარტს

1958 წლის 23 მარტს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე აღიმართება საბჭოთა კავშირის მორიგი, XX საფეხბურთო ჩემპიონატის ალამი. ახალი სეზონის ამ პირველ ტურში შედგება მეტად საინტერესო მატჩი: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

ასე ადრე საბჭოთა კავშირის პირველობა ფეხბურთში ჯერ არ დაწყებულა. „ა“ კლასის ოსტატები უკვე კარგა ხანია შეუდგნენ მოსამზადებელ წვრთნას.

პირველი კალენდარული მატჩი მოსკოვში შედგება 26 აპრილს. ურღვევი ტრადიციის თანახმად ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი: „დინამო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). კალენდრის მიხედვით 3 მაისიდან მატჩები პირველობაზე წყდება, ვინაიდან სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს ეწყება საწვრთნელი შეკრება მსოფლიო პირველობისათვის (გათამაშების ფინალი, როგორც ცნობილია, ჩატარდება შვეციაში 8-29 ივნისს). 5 ივლისს ჩემპიონატის მატჩები კვლავ განახლდება და დამთავრდება 11 ოქტომბერს.

„ა“ კლასის გუნდებში ცვლილებათა შესახებ პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის რომ მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. არკადიევი დაუბრუნდა თავის ძველ კოლექტივს — თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდს. მეორე მწვრთნელადაა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ვ. ბობროვი.

„ბ“ კლასში შექმნილია 6 ზონა (94 გუნდი). ისევე როგორც შარშან, „ბ“ კლასიდან „ა“ კლასში გადავა ერთი გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს ზონებში პირველ ადგილებზე გასულ გუნდებს შორის ჩატარებულ ტურნირში.

ჩვენი კონკურსი

# ყველაზე პოპულარული სპორტსმენი საქართველოში

**ვინ იყო საქართველოში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი 1957 წელს?** ასეთი კითხვით მიმართავს ჩვენი გაზეთი თავის მკითხველებს. ამ საინტერესო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას. დასახელებულ უნდა იქნენ პოპულარული სპორტსმენი ვაჟები ცალკე და ქალები ცალკე. ვინც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას აღიარებულ იქნება ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად საქართველოში **1957 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.**

ამასთან რედაქცია აწესებს ორ სპეციალურ ჯილდოს, რომელიც გადაეცემა კონკურსში გამარჯვებულ სპორტსმენებს — ვაჟსა და ქალს. ჯილდოს ექნება წარწერა: **„საქართველოში 1957 წლის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენს“.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თავიანთი მოსაზრებანი წერილობით, შემდეგი მისამართით: „თბილისი, გაზეთ „ლელოს“ რედაქციას. კონკურსისათვის“. ქალთა კონკურსის შედეგები შეჯამდება **ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისათვის, ხოლო** ვაჟთა კონკურსის შედეგები — **ფეხბურთში საკავშირო პირველობის დაწყების დღისათვის.**

ასეთი სახის კონკურსები დიდი პოპულარობით სარგებლობს დემოკრატიულ ქვეყნებში. ამას წინათ მსგავსი კონკურსი მოეწყო ლატვიასა და ლიტვაში.



ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში, რამდენიმე წლის წინათ არავის მოუვიდოდა აზრად, რომ რომელიმე ქვეყანა რამდენადმე მაინც სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებს სპორტულ ცურვაში.

ამერიკელთა აბსოლუტური წარმატებანი ცურვაში სავსებით დამსახურებული იყო. რად ღირს „ლაჟვარდისფერი ბილიკის" თუნდაც ისეთი კორიფე, როგორიც იყო ჯონი ვეისმიულერი — შესანიშნავი სპორტსმენი, ბრწყინვალე სპრინტერი, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა კროლის სტილით ცურვაში და პირველმა გადალახა 100 მეტრზე ცურვაში იმ დროისათვის წარმოუდგენელი ზღუდე — 1 წუთი. „ვეისმიულერის სტილს" ახლაც ჰყავს თაყვანისმცემლები და მიმბაძველები. მას დიდი ხნის განმავლობაში არა ჰყავდა ტოლი და როცა დრომ და ხანმა მაინც თავისი გაიტანეს, ჯონი ვეისმიულერი ჰოლივუდის ცნობილი კინოვარსკვლავი გახდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ვეისმიულერს ანტიური სილამაზის სხეული და სახე ჰქონდა, რაც ჰოლივუდის კინემატოგრაფიაში ერთობ საჭირო ატრიბუტებია მსახიობისათვის.

საბჭოთა მაყურებელმა ჯონი ვეისმიულერი ნახა „ტარზანის" სათავგადასავლო 4-სერიიან ფილმში, სადაც იგი ხშირადაა თავის მშობლიურ სტიქიაში — წყალში. ვეისმიულერმა დიდი ბიზნესი გააკეთა, მაგრამ იგი საკვირველი ქარაფშუტობით ფანტავდა თავის დოლარებს, თამაშობდა ბირჟაზე და რომ მდიდარი მეუღლე არა (ისიც კინოვარსკვლავი), ჯონი ალბათ ულუკმაპუროდ დარჩებოდა.

20 წლის განმავლობაში შეურყეველი იყო ამერიკელ მოცურავეთა ჰეგემონია ოლიმპიურ თამაშებზე. და აი მელბურნის საცურაო აუზის კამკამა წყალში 1956 წლის ოლიმპიადაზე ეს ჰეგემონია ჩაიძირა.

საცურაო „მინდორს" სხვა მფლობელი გამოუჩნდა — ავსტრალია.

ოლიმპიური ოქმიდან რომ მხოლოდ ციფრები ამოვიღოთ, ცხადი გახდება ძალთა თანაფარდობა ავსტრალიისა და ამერიკის მოცურავეთა შორის პირველი 3 ადგილების მიხედვით.

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| ავსტრალია | 8 | 4 | 2 |
| აშშ | 2 | 4 | 5 |

ავსტრალიელებმა ცურვაში სულ 101 ქულა მიიღეს, ამერიკელებმა კი მხოლოდ 79.

გარდა ამისა, დათმეს თავიანთი პოზიციები უნგრელმა ქალებმაც. თუ ჰელსინკში კ. სეკემ, ვ. დიენვემ, ე. სეკემ მოიგე ს ოქროს მედლები და უნგრეთის ქალთა ნაკრებმა გაიმარჯვა ესტაფეტაში 4X100 მეტრზე, მელბურნში მთელი ამ სიმდიდრიდან მათ მხოლოდ ერთი ვერცხლის მედალი დარჩათ.

დაახლოებით ათიოდე წლის წინათ ავსტრალიაში თითზე ჩამოსათვლელი იყო მსოფლიო კლასის მოცურავე და თუ ასეთი არსებობდა, ისიც ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში სწავლობდა და ამერიკის აუზებში ცურავდა (მაგალითად, ჯონ მარშალი, რომელმაც 1948 წლის თამაშებზე ლონდონში ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მიიღო). ახლა სულ სხვა სურათია. ავსტრალიის ბრწყინვალე მოცურავეები ავსტრალიის აუზებში გაჰოიწვრთნენ და აქაური მწვრთნელების ხელმძღვანელობით აღიზარდნენ ყოველგვარი იმპორტის გარეშე.

ცურვა ავსტრალიის მოსახლეობაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. არა თუ შეჯიბრებაზე, სულ უბრალო საწვრთნელ დღეებშიც კი, როცა მოცურავეები ცურვის ტექნიკაზე მუშაობენ და აუზში თითქოს არაფერი საინტერესო არა ხდება, ტრიბუნები სავსეა მაყურებლებით, რომლებიც აქვე კითხულობენ გაზეთებს, საუზმობენ და საათობით ადევნებენ თვალს თუ როგორ სერავენ ბრინჯაოსფერი სხეულები წყალს.

მოცურავის სპეციალიზაცია აქ ადრეული ხანიდან იწყება — დაახლოებით 6-7 წლის ასაკიდან. საცურაო აუზები ავსტრალიაში აუარებელია და ძნელად რომ ბავშვი არ მოხვდეს აქ, მით უმეტეს, რომ მშობლები ყოველ მხრივ ხელს უწყობენ ცურვით გატაცებას.

ავსტრალიელი მწვრთნელები უდიდესი გულისყურით და მზრუნველობით ეკიდებიან მოცურავეთა აღზრდას. ფ. ჩატრის, გ. ფრელიჰის, ს. ჰერფორდის, დ. ტალბოტისა და სხვათა სახელები ფართოდაა ცნობილი არა მარტო სპორტულ წრეებში, არამედ მის გარეთაც. ისინი დეტალურად სწავლობენ ყოველი სპორტსმენის ინდივიდუალურ თვისებებს, ხასიათს, ჩვევებსა და მაქსიმალურად იყენებენ მის შესაძლებლობებს. მაგალითად, ცნობილ მოცურავე ჯ. ჰენრიკსს შესანიშნავი ატლეტური მონაცემები აქვს, მას ახასიათებს მძლავრი მოსმა, ფეხების რიტმული მუშაობა, ეკონომიური და ენერგიული ბრუნი, მაგრამ ჰენრიკსს ცურვის თავისებური სტილი ახასიათებს: საოცრად მაღლა „ზის" წყალში და ცურვის დროს უჩვეულოდ ქანაობს ერთი გვერდიდან მეორეზე, როგორც წყალში მოთამაშე დელფინი. ასეთი „სტილი" ერთობ შორსა დგას მწვრთნელების თეორიებისაგან, მაგრამ მწვრთნელმა სწორედ იგი დაამუშავებინა მოცურავეს და ჰენრიკსი ახლა ერთ-ერთი უძლიერესი სპრინტერია მსოფლიოში.

ავსტრალიას ამჟამად შესანიშნავ მოცურავეთა მთელი პლეადა ჰყავს. ქალები: ლორეინ კრეპი, დონი ფრეზერი, ფრეიტ ლიჩი, სონდრა მორგანი; ვაჟები: მურეი როუზი, ჯონ ჰენრიკსი, ჰარი ჩეპმენი, კ. ოჰოლორანი, დევიდ ტილლი, ჯონ მანკტონი, ებრაინ უილკონსონი და მრავალი სხვ. ყველა ისინი ახალგაზრდები არიან და თავიანთი სპორტული კარიერის ზენიტში იმყოფებიან.

სულ ახლახან სპორტულ სამყაროს მოედო ცნობა იმის შესახებ, რომ ავსტრალიელმა ილზა კონრადსმა ფენომენალურ შედეგებს მიაღწია თავისუფალი სტილით ცურვაში. მან ლ. კრეპსს ჩამოართვა ორი მსოფლიო რეკორდი 880 იარდზე და 800 მეტრზე ცურვაში. და ეს მაშინ, როცა ილზა კონრადსი ჯერ სულ... 13 წლის გოგონაა!

თუ როგორი სიყვარულით ეკიდებიან ავსტრალიელი მოცურავეები სპორტის ამ სახეობას ნათლად ჩანს ასეთი პატარა ფაქტიდანაც: ლ. კრეპსს ერთხელ აუზში პატარა ბიჭუნა აედევნა და სპორტული ცურვა ასწავლეო თხოვა. კრეპსს უარი არ უთქვამს მისთვის და პირველი გაკვეთილი იქვე შედგა. მას შემდეგ კრეპსი და მისი მოწაფე განუყრელნი არიან. ის ბიჭუნა — ჯონ კონრადსი, დღეს ახალ ამომავალ ვარსკვლავად ითვლება ავსტრალიაში.

თუმცა ეს ვარსკვლავი უკვე ამოვიდა. ჯ. კონრადსმა დაამყარა მსოფლიო რეკორდი 880 იარდზე და 800 მეტრზე ცურვაში.

საინტერესოა ერთი დეტალი — ილზა და ჯონი და-ძმანი არიან.

რამდენიმე მაღალი კლასის მოცურავე ჰყავს იაპონიასაც. ეს ძირითადად ბრასისტები არიან, რომლებიც განსაკუთრებით კარგად არიან დაუფლებული ე. წ. წყალქვეშა ცურვას. მაგალითად, მელბურნში ბრასის სტილით ცურვა 200 მეტრზე მოიგო მასარუ ფურუკავამ, რომელმაც სტარტის შემდეგ მხოლოდ მოსახვევთან ამოჰყო თავი წყლიდან (50-მეტრიან აუზში), ჩაისუნთქა და მოსახვევის შემდეგ მხოლოდ ორჯერ ამოვიდა ზედაპირზე ჰაერისათვის. სპორტსმენის ფინიშიც წყალქვეშ შედგა. უნდა აღინიშნოს, რომ მელბურნში მინის აუზია და ფურუკავას დახვეწილი ტექნიკა ვარკვევით ჩანდა ყველასათვის.

ძლიერი მარათონელები არიან სამხრეთ ამერიკაშიც, კერძოდ, არგენტინასა და პარაგვაიში. მაგრამ ეს უმთავრესად მარათონელები და სხვადასხვაგვარი ტრიუკების ავტორები არიან. მაგალითად, პარაგვაელი ლუიზ ქილბერტ რუიზი 105 საათისა და 15 წუთის (!) განმავლობაში ცურავდა ზღვაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდად შეშფოთებული არიან იმით, რომ მათ ხელიდან გამოეცალათ „წყალზე ბატონობა". აქ გაზეთებში ხშირად წერენ იმის შესახებ, რომ ყოველ ამერიკულ ქალაქში აუარებელი საცურაო აუზია, მაგრამ ამ აუზებში უფასოდ არავის უშვებენ, ფულის ვადამხდელი კი არც ისე ბევრია. ამას არც ამერიკელები მალავენ. მაგალითად, ბ. ჰარდიმ ჟურნალ „ბიჩ ენ პუულში" გამოაქვეყნა საინტერესო ციფრები წითელი ჯვრის სპეციალური კომისიის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ. ქ. კლივლენდში შეამოწმეს 11-დან 20 წლის ასაკის 27.623 ახალგაზრდა და აქედან 57,7-%მა სრულებით არ იცოდა ცურვა, 18,3% მცირე ხნით ჩერდებოდა წყალზე და მხოლოდ 24% ცურავდა ხეირიანად.

კოლუმბიის უნივერსიტეტის მასწავლებლის ე. კენედის ცნობით მსოფლიო ომის დროს ჯარში გასაწვევთა საერთო რიცხვიდან ზოგიერთ შტატში ცურვის არ მცოდნეთა პროცენტი 60-ს აღწევდა, ხოლო ზანგებში ეს ციფრი 80-მდე ადიოდა. ავტორი არ ხსნის ამ ფრჩხილებს, მაგრამ მიზეზი ჩვენთვის კარგადაა ცნობილი: ამერიკაში ზანგებს აუზში არ უშვებენ თეთრებთან ერთად.

საცურაო აუზი ამერიკის შეერთებულ შტატებში, პირველ ყოვლისა, არა საწვრთნელი ბაზა, ან ჯანმრთელობის გამაკაჟებელი კერაა, არამედ კომერციული საბანაო, სადაც ათასგვარი გასართობი ეწყობა ჯაზების გამაყრუებელი ხმაურის ქვეშ.

ამერიკელი მოცურავე თავიდანვე ეჩვევა იმას, რომ წყალი როგორც მისთვის, ისე მისი მწვრთნელისათვის ბიზნესია, ფულის ამოსაქაჩავი საშუალება და არა სპორტი. როცა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე 1948 წელს ამერიკელებმა რამდენიმე პირველი ადგილი დაიკავეს, პრესამ ახალი ჩემპიონების გარშემო აუწერელი ხმაური ატეხა. რთული სარეკლამო მანქანა სრული სიმძლავრით იქნა გაშვებული.

რკინა უნდა სჭედო სანამ ცხელია. ეს დევიზი კარგად ახსოვდათ ოლიმპიელებს და მათაც არ დააყოვნეს ამ რკინის ჭედვა, სანამ გაზეთები მსხვილი შრიფტით აქვეყნებდნენ მათს გვარებს. ოლიმპიადის ყოველი ჩემპიონი და პრიზიორი ცდილობდა თავისი რანგის, ტიტულისა და მოპოვებული მედლების შესაბამისად გაეკეთებინა ბიზნესი. მაგალითად, ენ კერტისი გარდა იმისა, რომ ბრწყინვალედ ცურავდა, ულამაზესი ქალიც იყო და მისთვის სწრაფად იქნა გამონახული ადგილი ჰოლივუდში, სასწრაფოდ დაიწერა კინოსცენარები და სხვ. სპორტი დავიწყებას მიეცა.

ასეთივე ლამაზი ქალი იყო ს. ციმერმანი, რომელიც თავის სპორტულ ტალანტს აჩვენებდა სხვადასხვა საწყლოსნო პანტომიმებში და თვალისმომჭრელ საბანაო კოსტიუმში (ფირმა ამ რეკლამაში ცალკე იხდიდა ფულს) გამოწყობილი სელაპებთან ერთად ცურავდა ცეცხლოვან შადრევნებში. პროფესიონალიზმის მორევმა შთანთქა კიდევ სხვა მრავალი ნიჭიერი ამერიკელი მოცურავე.

ყველაფერი ამის შემდეგ გასაკვირი არაა, თუ რატომ დაკარგეს 20 წლის ოლიმპიური ჰეგემონია ამერიკელებმა და რატომ დაუთმეს პირველობა ავსტრალიელებს, რომლებიც ფხიზელი თვალით უყურებენ სპორტულ ცურვას და უყვართ იგი კეთილშობილური გრძნობით.

რ. ჭორიძე

## ცეცხლის ხაზზე — მოსწავლეები

დამთავრდა [illegible] მოსწავლეთა შორის მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა 30-ე სკოლის კოლექტივმა, ხოლო პირად პირველობაში უძლიერესის სახელი მოიპოვა ამავე სკოლის მოსწავლემ ვ. არუდაშვილმა რომელმაც 100 შესაძლებლიდან მოაგროვა 98 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა 71-ე სკოლის მოსწავლე თ. მეგრელიშვილი, მესამეზე — თ. ლეკიშვილი (23-ე სკოლა).

თ. ხერხეულიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

## სპორტული ქრონიკა

**სამტრედია.** რაიონის კულტსახლში მოეწყო სამტრედიის საჭადრაკო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა 18 მოჭადრაკე.

I-II ადგილი გაიყვეს ფიზკულტურის მასწავლებელმა რ. ქორქოლიანმა და ელექტროტექნიკოსმა შ. ტაბიძემ (15 ქულა თვითეულს). ჩემპიონის გამოსავლენებლად გამარჯვებულთა შორის მოეწყო მატჩი ოთხი პარტიიდან. გაიმარჯვა რ. ქორქოლიანმა.

გ. ფოჩხიძე

* * *

**ზუგდიდი.** ქალაქის მეორე საშუალო სკოლაში გაფართოვდა და მოეწყო ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, აგრეთვე ტანვარჯიშული ბაქანი და სხვ. ამჟამად ამ სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

ვ. ალშიბაია

## ა. პევცოვი უძლიერესთა ათეულში

თანამედროვე ხუთჭიდის საკავშირო სექციის პრეზიდიუმმა შეაჯამა გასული წლის შედეგები და დაამტკიცა ათი უძლიერესი ხუთჭიდელის სია, რომელთა შორის ადგილები ასე განაწილდა:

პირველ ადგილზეა ი. ნოვიკოვი — სპორტის დამსახურებული ოსტატი (ერევანი, „დინამო"), მეორე ადგილზე იმყოფება ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ნ. ტატარინოვი (საბჭოთა არმია). მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ლენინგრადის „დინამოდან" ა. ტარასოვი და მოსკოველი სპორტის ოსტატი ბ. პახომოვი (საბჭოთა არმია). მეხუთე ადგილზეა სპორტის ოსტატი კ. სალნიკოვი (მოსკოვი, საბჭოთა არმია). მოსკოვის „სპარტაკის" ხუთჭიდელი სპორტის ოსტატი ვ. უდანოვი და თბილისის დინამოელი სპორტის ოსტატი ა. პევცოვი იყოფენ 6-7 ადგილებს. მომდევნო ადგილებზე არიან სპორტის ოსტატი ა. ზილბერბორდტი (მოსკოვი, საბჭოთა არმია), სპორტის ოსტატი ვ. ზაიკა (მოსკოვი „სპარტაკი") და სპორტის დამსახურებული ოსტატი კიეველი ი. დერიუგინი (საბჭოთა არმია).

## საჭირო წიგნი და უგულისყურო დამოკიდებულება

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტმა, კერძოდ, ტანვარჯიშის კათედრამ ჯერ კიდევ 1953 წელს რუსული ენიდან თარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა ტანვარჯიშის სახელმძღვანელო, რომლის საჭიროებასაც მეტად მწვავედ განიცდიან ჩვენი სტუდენტი-ტანმოვარჯიშეები. სათანადო რეცენზირებისა და გარჩევის შემდეგ ეს თარგმანი მხოლოდ 1955 წლისათვის იქნა საბოლოოდ წესრიგში მოყვანილი და შეტანილი გამომცემლობის გეგმაშიც 1956 წელს გამოსაცემად. სტუდენტები მას 1956-1957 სასწავლო წლის დამდეგისათვის მოელოდნენ.

სამწუხაროდ, „საქმედგამის" მაშინდელმა მესვეურებმა, რომლებსაც გადაეცა ეს წიგნი გამოსაცემად, ანგარიში არ გაუწიეს იმ დიდ მოთხოვნილებას, რაც აღნიშნულ სახელმძღვანელოზე არსებობს ჩვენს რესპუბლიკაში და თვითნებურად ამოიღეს იგი საგამომცემლო გეგმიდან, ხოლო სამართლიანი პროტესტის გამცხადებელნი იმით დაამშვიდეს, რომ მომავალ წელს წიგნს აუცილებლად გამოსცემდნენ.

გავიდა „მომავალი წელიც", მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა, სახელმძღვანელოს საგამომცემლო გეგმა კი — ფარატინა ქაღალდად! „საქმედგამმა" თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებამდე გააჭიანურა ეს საჭირო საქმე, სანამ თვით მას არ მოუსწრო რეორგანიზაციამ... ამასობაში ტანვარჯიშის სახელმძღვანელო ახლადშექმნილ გამომცემლობა „ცოდნას" გადაეცა და მისმა გულშემატკივრებმაც „ცოდნის" მესვეურთ მიაკითხეს გასული წლის მიწურულს ახალ გამომცემლობაში მათ ძველი პასუხი და საჭირო წიგნისადმი ძველებური, უგულისყურო დამოკიდებულება დახვდათ.

— თქვენი წიგნი პორთფელშია, ჩვენ კი დაზგაზე არსებული წიგნები უნდა გამოვცეთ! — ასე უპასუხეს მათ.

სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, წიგნის გამოცემას ასეთი „პორთფელურ-დაზგური" თვალსაზრისით უდგებიან და არა მასზე არსებული დიდი მოთხოვნილებისა და საჭიროების მიხედვით.

ასეთი თვალსაზრისის „შეურყევლობის" გამო კი წლიდან წლამდე ჭიანურდება სპორტული სახელმძღვანელოს გამოცემა, რომლითაც ისედაც ღარიბია ჩვენი ლიტერატურა და რომელსაც ასე მოუთმენლად მოელიან სტუდენტი-სპორტსმენები.

ქ. გოცირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა





# მეტალურგთა ქალაქი

დღეს შესრულდა 10 წელი ქართველ მეტალურგთა ქალაქ რუსთავის „დაბადებიდან“.

სხვებთან ერთად საყვარელი ქალაქის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად წარმატებით იღვწოდნენ ფიზკულტურელებიც. ახლა რუსთავის სპორტსმენები სამართლიანად ითვლებიან ერთ-ერთ უძლიერესებად რესპუბლიკაში და რეგულარულად მონაწილეობენ ყველა სახის შეჯიბრებებში. ქალაქის ძირეული კოლექტივების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები, რომელთა რიგები ყოველწლიურად იზრდება. დასასრულს უახლოვდება „მეტალურგის“ სასახლის მშენებლობა, სადაც იქნება რესპუბლიკაში ერთი დიდი სპორტდარბაზი და სხვა დარბაზები სექციური მუშაობისათვის.

ძირეული კოლექტივების ნაყოფიერმა მუშაობამ სათანადო შევსება მისცა მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჭიდაობისა და სხვა ცენტრალურ სექციებს. ქალაქის გუნდებმა წამყვანი ადგილები დაიკავეს რესპუბლიკაში. „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელებმა მეორე ჯგუფში დაიკავეს პირველი ადგილი, ხოლო გასულ სეზონში გამოდიოდნენ რა პირველ ჯგუფში, მეოთხე ადგილი მოიპოვეს. ტანმოვარჯიშეები უძლიერესნი აღმოჩნდნენ რესპუბლიკაში მეორე ჯგუფის გუნდებს შორის და ა. შ.

ძირეული კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობით ქალაქის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გასულ წელს შეძლეს 9 პირველთანრიგოსანის, 78 მეორე და 330 მესამე თანრიგის სპორტსმენის მომზადება. 298 მოსწავლემ ჩააბარა მოზარდთა თანრიგის ნორმატივები, გადაჭარბებით იქნა შესრულებული ნიშნოსანთა მომზადების გეგმა.

რუსთავის ფიზკულტურელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. მათ გადაწყვეტილი აქვთ ახალი წარმატებებით შეხვდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის 1.500 წლის იუბილეს.

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ—ქალაქის ცენტრალური ქუჩა, მარჯვნივ — მეტალურგთა სპორტდარბაზის მშენებლობის ხედი.

ფოტო ა. ვართანოვისა.



## სსრკ XXV ჩემპიონატი

### სპასკიმ გელერის ჯავრი ბორისენკოზე იყარა ○ ბოლესლავსკიმ უპოვა ტალს „აქილევსის ქუსლი“ ○ გურგენიძის შეცდომა ცაიტნოტში და ... პირველი დამარცხება

ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო ჩემპიონატი საერთო აღიარებით, მსოფლიო პირველობის შემდეგ ყველაზე დიდი ტურნირია.

ამიტომაა, რომ ეს დიდი ტურნირი არა მარტო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, არამედ მსოფლიო პირველობის ზონალური შეჯიბრებაცაა. მასში პირველ ოთხ ადგილზე გამოსული მოჭადრაკეები მიმდინარე წლის აგვისტოში მონაწილეობას მიიღებენ დუბროვნიკის საზონათშორისო ტურნირში.

ტურნირი მიმდინარეობს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ახლახან აგებული მრავალსართულიანი შენობის დიდ დარბაზში. მონაწილენი კვირაში თამაშობენ მხოლოდ ოთხ პარტიას ასეთი განრიგით: ორი ტური, გადადებული პარტიების დამთავრება, კიდევ ორი ტური, კვლავ გადადებული პარტიების დამთავრება და დასვენების დღე. ამის გამო რიგელები ხუმრობენ, რომ მოჭადრაკეები ნამდვილ „სამოთხეში“ არიანო. ეს ემჩნევა პარტიაში გაჩაღებულ ბრძოლასაც, სადაც იშვიათია მშვიდობიანი ყაიმებია და გართულებათაგან თავის არიდების შემთხვევები.

ამის ნათელ მაგალითად გამოდგება II ტურის შემდეგ გამართული გადადებული პარტიების დამთავრება. ავერბახი მეთოდურად, ერთად-ერთი სვლებით მიიწევდა გამარჯვებისაკენ ბანიკთან პარტიაში. მან ისე დაატყვევა უკრაინის ჩემპიონის მეფე, რომ ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, სამაგიეროდ მას კორჩნოი გაუსხლტა ხელიდან და იძულებული გახდა შერიგებოდა ყაიმს. კოტოვი ავიწროებდა ბრონშტეინის პოზიციას, მაგრამ ვერაფრით ვერ შეძლო მისი განადგურება. კოტოვმა მოგების იმედი დაკარგა — ყაიმს დაჯერდა. პეტროსიანმა მძლავრი პოზიციური სალტეებით „გაწურა“ სუეტინის პოზიცია და გაიმარჯვა. თამაშის განახლების შემდეგ შეტრიალდა კორჩნოი-ბოლესლავსკის პარტიის ბედი. ახლა უტევდა ბოლესლავსკი, რომელმაც მოიგო კიდევაც იგი. ყაიმით დასრულდა სუეტინ-ბანიკისა და პოლუგაევსკი-გიპსლისის პარტიები. სპასკიმ უთამაშებლად მიიღო ქულა პოლუგაევსკისაგან, რომელმაც მასთან გადადებული პარტია უიმედოდ ჩათვალა და დანებდა.

III ტურში ბრძოლის სიმწვავემ იმატა. ყურადღების ცენტრში იყო ტალისა და ბოლესლავსკის შეხვედრა. საინტერესოა მოვიგონოთ, რომ XXIV ჩემპიონატში ტალმა გროსმაისტერებთან შეხვედრებში მხოლოდ ბოლესლავსკისთან წააგო. პარტია ძველინდური დაცვით დაიწყო, რომელსაც ბოლესლავსკი ვირტუოზულად თამაშობს. ეს ცხადი გახდა ტალისთვისაც, როცა მინსკელმა გროსმაისტერმა მას პაიკი შეწირა. ინიციატივას დაუფლებული ბოლესლავსკი მძლავრად მიიწევდა გამარჯვებისაკენ. ტალი შეეცადა ლაზიერების გაცვლით დაეცხრო დაძაბულობა. მან თითქოს მიაღწია კიდეც ასურველს, მაგრამ გააკეთა ორი არასწორი მანევრი, წამოეგო ბოლესლავსკის კომბინაციას და უხაროსხოდ დარჩა. პარტია თუმცა არ დამთავრებულა, მაგრამ ტალის დამარცხება ეჭვს არ იწვევს.

ძალზე საშიშია გელერი, როდესაც იგი დაუფლებულია ინიციატივას. ამიტომ სპასკი, უკვე უარეს მდგომარეობაში, შეეცადა პაიკის შეწირვით გაერთულებინა თამაში, მაგრამ ამით მან შვება ვერ იგრძნო. გელერმა მოიგო ორი პაიკი და 39-ე სვლაზე პარტიაც. ფურმანმა გაუმჯობესა ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი, მაგრამ უკეთესი თამაშის მიღების შემდეგ უგეგმოდ იბრძოდა, მოხვდა ცაიტნოტში და დამარცხდა.

როდესაც კორჩნოი-სუეტინისა და ბორისენკო-ვიპსლისის პარტიებში გაირკვა მდგომარეობის თანასწორობა, მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა, საინტერესო იყო გურგენიძის შეხვედრა უკრაინის ჩემპიონ ბანიკთან. საერთოდ, ბანიკს არ წყალობს ბედი გურგენიძესთან. სამ შეხვედრაში, რომლებიც მათ ადრე ჰქონიათ, გურგენიძემ ორი მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა. ამ პარტიაშიც მან ვერაფერი გააწყო გურგენიძესთან. დასაწყისში იგი თითქოს უტევდა, მაგრამ მოულოდნელად თავს დაატყდა გურგენიძის მოხდენილი კომბინაცია. ორი კუს შეწირვით გურგენიძემ მოიგო ეტლი და სამი პაიკი. ახლა, შეწყვეტილ პოზიციაში, გურგენიძეს ორი გადაბმული გამსვლელი პაიკი და მოგების რეალური შანსები აქვს. უიმედო პოზიციაშია გადადებული კოტოვის პარტია ავერბახთან. ბრონშტეინს ტაიმანოვთან პაიკი აკლია. განსაცდელშია ტოლუში მეფე პოლუგაევსკისთან პარტიაში.

IV ტურში ყველაზე საინტერესო გამოდგა მწვავე კომბინაციური სტილის მოჭადრაკეების ტოლუშისა და გელერის შეხვედრა. გელერმა თავისებურად გაითამაშა ესპანური პარტია და შექმნა გარკვეული მუქარები. ტოლუშმა თამაშის გააქტივების მიზნით შეწირა პაიკი, მაგრამ ვერ მიიღო მისი სამაგიერო კომპენსაცია. მაშინ მან პაიკს მხედარიც მიაყოლა და ბრძოლას რთული კომბინაციური ხასიათი მისცა. გადადებულ პოზიციაში გელერს თუმცა აქვს უპირატესობა (ეტლსა და მხედარში ლაზიერი), მაგრამ მისი რეალიზაცია სიძნელეს წარმოადგენს.

სპასკიმ აგრესიულად შეუტია ბორისენკოს. ჩანს, ახალგაზრდა გროსმაისტერზე „კარგად“ იმოქმედა წინა ტურში გელერთან დამარცხებამ. პაიკის შეწირვით მან გახსნა ხაზები და შეუტია მეფის ფრთას. მალე ლენინგრადელმა აღადგინა მატერიალური თანასწორობა, მაგრამ შემდეგ ხარისხის შეწირვით დაამსხვრია ბორისენკოს პოზიცია. 42-ე სვლაზე ბორისენკო დანებდა.

კვლავ ჭაბუკური ენერგიით თამაშობდა ტალი. შუა თამაშში მან ავერბახს პაიკში ფიგურა შეწირა. ავერბახს შეეძლო უპირატესობის შენარჩუნება, მაგრამ მძიმე პოზიციას ღებულობდა, ამიტომ არ მიიღო შემოთავაზებული „ძღვენი“, მაგრამ შემდეგ აჩქარებულად აიყვანა ტალის პაიკი და მძლავრი იერიშის ქვეშ მოჰყვა. 30-ე სვლაზე იგი იძულებული გახდა კაპიტულაცია გამოეცხადებინა. ყაიმით დამთავრდა ბოლესლავსკი-ტაიმანოვის შეხვედრა.

გულდასაწყვეტი ამბავი დაემართა გურგენიძეს კორჩნოისთან პარტიაში. მან თეთრებით შესანიშნავად გაითამაშა დებიუტი და უპირატესობაც მოიპოვა. კორჩნოი იძულებული იყო დაცვა ეწარმოებინა. ქართველ ოსტატს სურდა კარგად მოემზადებინა გადამწყვეტი დარტყმა, ამიტომ ბევრ დროს ანდომებდა სვლების მოფიქრებას. მალე თავი იჩინა ცაიტნოტმა, სადაც გურგენიძემ უხეში შეცდომა დაუშვა, ფიგურა დაკარგა და დანებდა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.




15 იანვარს შედგა მორიგი ორი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. ერთ-ერთმა მათგანმა გამოავლინა ჩემპიონატის ფინალური ჯგუფის მე-15 მონაწილე. ესაა ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი.

მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიისა და იტალიის გუნდებს შორის შედგა ბელფასტში. მასპინძლებმა პირველ ტაიმში სტუმართა კარში გაიტანეს ორი ბურთი. შესვენების შემდეგ იტალიელებმა მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს და დამარცხდნენ ანგარიშით 1:2.

ამრიგად, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი — იტალია გამოითიშა ჩემპიონატიდან. შვეციის ფინალურ ჯგუფში ევროპის მერვე ჯგუფიდან გავიდა ჩრდილოეთ ირლანდია.

ამავე დღეს ტელ-ავივში თამაშობდნენ ისრაელი და „იღბლიანი“ გუნდი — უელსი, რომელსაც კენჭისყრით საშუალება მიეცა კვლავ დაბრუნებოდა გათამაშებას.

მატჩი მოიგეს უელსის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

## საბჭოთა გროსმაისტერები სტოკჰოლმში

ჰასტინგსის საახალწლო საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ გროსმაისტერი პ. კერესი ჩავიდა სტოკჰოლმში, სადაც მას დახვდნენ გ. შტალბერგის საიუბილეო ტურნირის მონაწილენი საბჭოთა ჭადრაკის ვეტერანები გროსმაისტერები ს. ფლორი და ვ. რაგოზინი.

გროსმაისტერმა პ. კერესმა თავის კოლეგებს მოუთხრო ჰასტინგსის ტურნირის შესახებ. სხვათა შორის კერესმა აღნიშნა, რომ 7 იანვარს ტურნირის მონაწილეებმა მისი დაბადების დღის აღსანიშნავად მიართვეს ტორტი, რომელზეც ანთებული იყო 42 სანთელი, რაც საბჭოთა გროსმაისტერის წლოვანებას აღნიშნავდა. კერესმა სიცილით განაგრძო, რომ ამ დღეს მეორე საჩუქარი მე თვითონ მოვუტანე საკუთარ თავს, როდესაც მოვუგე შვედ ოსტატ სტერნერსო. ტურის დამთავრების შემდეგ ოსტატებმა და მაყურებლებმა კერესი ხელში ატაცებული ახლობელ ბარში მიიყვანეს, სადაც უსურვეს ჯანმრთელობა და ახალი წარმატებები.

## გრძელდება ეგვიპტის ველორბოლა

„ჩრდილოეთ აფრიკის მშვიდობის ველორბოლის“ 200-კილომეტრიანი ტრასა, რომელიც 13 ეტაპადაა დაყოფილი, დაიწყო ეგვიპტის სამხრეთ ქალაქ ლუქსორში.

გასულ კვირას ლუქსორში, პირველი ეტაპის სტარტზე გამოსულ სპორტსმენებს ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის დავალებით მიესალმა კენას პროვინციის გუბერნატორი გენერალი რუშტი. პირველ ეტაპზე ლუქსორი-სოხადი (221 კმ) ფინიშთან ერთდროულად მივიდნენ ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის, გდრ-ისა და რუმინეთის გუნდები. მეორე ეტაპზე ასიუტამდე (115 კმ) დისტანცია პირველად დაამთავრა უნგრელმა ტოროკმა — 3:04.07. მეორე იყო საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი ა. პეტროვი.

ჩატარდა აგრეთვე რბოლის კიდევ სამი ეტაპი. საერთო პირველ ადგილს ოთხი ეტაპის ჯამში, ჯერჯერობით საბჭოთა ველოსიპედისტები ინარჩუნებენ.

ვახტანგ კახაძე

# მინიატურები

## მწვრთნელს გაებუტა?!.

რაო?!... მწვრთნელს გაებუტა?!... არ მომწონს... არ მომწონს!...

მკაცრიაო?!... ასეც უნდა — მწვრთნელი მკაცრი, მომთხოვნი უნდა იყოს!

სძულს?!...

ხა...ხა...ხა!... უნებლიედ გენიალური პოეტის ზედგამოჭრილ სიტყვებს მაგონებს ეს მომენტი: „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს!...“

რას ამბობს?!... მის ჯიბრზე წავაგებ თამაშსო?!...

უგუნური!... მერე-და, მე და შენ რა დავუშავეთ, ან... საქართველოს რას ემართლება!

## ყველაზე ლამაზი

აი, ეგ ქალი, შენ რომ ასე მოგჭრა თვალი, ჩემს ფაკულტეტზე სწავლობდა. ხედავ?... გამვლელ-გამომვლელი ყველა მას მისჩერებია. ახლა ოცდაათისაა და წარმოიდგინე, რა იქნებოდა ათი წლის უკან. როცა მას დავინახავ, არასასიამოვნო გრძნობა მეუფლება. ეს ამ ათი წლის უკან მოხდა. ფაკულტეტის გუნდს მოთამაშე აკლდა. უნებლიედ რუსთაველის პროსპექტი მოაგონდა... გონებაში გაუელვა, როგორ დგებოდნენ მისი გავლისას და უყურებდნენ „რჩეულ-რჩეული, კაი ბიჭები“... ლამაზმანები შურით კვდებოდნენ... თითქოს ყველამ ერთად უბიძგა გუნდის მწვრთნელის უხერხულ მდგომარეობიდან გამოსაყვანად... შესთავაზა, რომ ითამაშებდა... მიზეზი მხოლოდ ერთი ჰქონდა: სურდა მაყურებლისთვის ეჩვენებინა კენარი ტანი...

თამაშის დაწყებამდე მართლაც ბევრი უჭვრეტდა ნეტარების თვალით... თამაშის დაწყების შემდეგ კი?... ცოტა სხვაგვარად წავიდა საქმე... ბურთის მიწოდების ჯერი მასზე რომ მიდგებოდა, ყველას სახეს უკმაყოფილების იერი გადაჰკრავდა... წინასწარ იცოდნენ — ან ბადეს შეეხებოდა მის მიერ ნატყორცნი ბურთი, ან კიდევ პირით ხაზს უკან გავიდოდა, მაშინ კი... ნულა იტყვი, რა ზიზღს იწვევდა მაყურებელში... რა აღფრთოვანებით ხვდებოდა სტადიონი ჩვენი თანაკურსელის, — შენც იცნობ მას, გაუჩორკნავ მორგვს რომ წააგავს ერთი შეხედვით, — ნახშირივით შავი დინარას ყოველ ილეთს!...

ეხ, ჩემო ძმაო... სპორტული სარბიელი ხომ რუსთაველის პროსპექტი არაა... მაშინ ეგეც დარწმუნდა ამაში... მერე არც გვინახავს მისი თამაში... ასანთი გაქვს?... ერთი მომიკიდე, თუ კაცი ხარ!...

ჰო-და, ის უნდა მეთქვა: მოედანზე ყველაზე ლამაზი ისაა, ვინც უკეთესად თამაშობს.

## სპორტულ საზოგადოებებში

### „სპარტაკი“

ნიჭიერ მოფარიკავეთა გამოსავლინებლად მოსკოვში გაიმართა „სპარტაკის“ საკავშირო პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის ფარიკაობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, საქართველოს, ესტონეთის, ლატვიის, დაღესტნის, სტალინოს, კიროვოგრადის, გორკისა და ხმელნიცკის გუნდები.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის საქართველოს მოფარიკავეებმა პირველი ადგილი დაიკავეს დაშნაში, რაპირასა და ესპადრონში. უმცროსი ასაკის ჭაბუკები პირველ ადგილზე გამოვიდნენ რაპირაში, ხოლო ესპადრონში—მეორეზე, უფროსი ასაკის გოგონებმა მოიპოვეს უძლიერესის სახელი რაპირაში.

სამი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საკავშირო ჩემპიონობა მოიპოვა საქართველოს გუნდმა. II ადგილი წილად ხვდა ესტონელ მოფარიკავეებს და III—გორკელ სპორტსმენებს.

### „ბურევესტნიკი“

მოსკოვში ხუთ დღეს გრძელდებოდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს 1958 წლის პირად-გუნდური პირველობა ფარიკაობაში მოზარდთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისისა და ლვოვის ნაკრები კოლექტივები. გოგონათა შორის რაპირით ბრძოლაში „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა გ. გორდაძე (საქართველო), ჭაბუკებიდან უძლიერესნი იყვნენ გ. ასათიანი (ესპადრონი) და ი. თოდრია (დაშნა).

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს მოსკოველმა მოფარიკავეებმა, II ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები. 12 ქართველი მოფარიკავე შეყვანილია „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდში.

## შეხვედრა «თოვლის ადამიანთან»

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ იქნა წერილები პამირის საოცრების — „თოვლის ადამიანის“ შესახებ. მკითხველებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ამ საკითხისადმი და გვწერდნენ გამოგვექვეყნებინა ახალი ცნობები „თოვლის ადამიანის“ შესახებ.

15 იანვარს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც ასე თუ ისე ნათელს ფენს იეტის არსებობას პამირში.

ლენინგრადის უნივერსიტეტში ამჟამად წარმოებს იმ მასალების კამერალური დამუშავება, რომელიც სამეცნიერო ექსპედიციამ დააგროვა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად ფედჩენკოს ყინვარის რაიონში (პამირი). ექსპედიციის ჰიდროლოგიური ჯგუფის უფროსმა ა. გ. პრონინმა „კომსომოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— 1957 წლის 10 აგვისტოს ჩვენ გავედით ფედჩენკოს ყინვარის კიდეზე. ჩვენს წინაშე აღიმართა შიშველი ყინულის ღრანტეები. მივაღწიეთ მდინარე ბალიანდკიიკის ველს. აქ გამოვარკვიეთ, რომ მყინვარს ძლიერად დაუხევია უკან და გაუთავისუფლებია დიდი სივრცე. სამხრეთ ნაწილში, 500 მეტრის სიმაღლეზე, ჩემი ყურადღება მიიპყრო საოცარმა მოჩვენებამ: სამხრეთ მწვერვალზე თითქოს ვიღაც იდგა. ჩვენმა ექსპედიციამ ზუსტად იცოდა, რომ პამირის მთელი ეს რაიონი სრულიად უკაცურია და ადამიანთა არავითარი დასახლება აქ არ არის. პირველად ვიფიქრე, რომ იმ მცირე მოედანზე დათვი მოდიოდა. შემდეგ დავუკვირდი უფრო ყურადღებით და თვალმოუშორებლად ვუცქერდი უჩვეულო ცოცხალ არსებას. მალე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ესაა არა დათვი, არამედ ადამიანის მსგავსი არსება. იგი მიდიოდა ოდნავ მოკუზული. [illegible] მას არაფერი არ [illegible] ტანზე [illegible] ლი ჰქონდა... [illegible] წვით. არსება ტანდაბალი იყო და გრძელი წინა კიდურები ჰქონდა, რაც განსაკუთრებით მეცა თვალში. ჩემს წინაშე ალბათ იყო ე. წ. გალუბ-იავანნას, ანუ „თოვლის ადამიანის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი. „თოვლის ადამიანი“ იხის იყო გამოვიდა გამოქვაბულიდან და ორასიოდე ნაბიჯიც არ გაუვლია, რომ კლდეს მიეფარა. მე მას ვუყურებდი დაახლოებით 5-8 წუთის განმავლობაში.

სამი დღის შემდეგ, 13 აგვისტოს მე კვლავ მოვხვდი იმ ადგილებში. საღამოს 6 საათი სრულდებოდა. მოულოდნელად იმავე მოედანზე კვლავ გამოჩნდა „თოვლის ადამიანი“. იგი ამჯერადაც ორი ფეხით მიდიოდა, მაგრამ სწრაფად დაიმალა კლდეებში — ალბათ გამოქვაბულში.

## ყოველი მხრიდან

ⓞ **პეკინი.** დამთავრდა ჩინეთის პირველობა ეროვნულ ჭიდაობაში, რომლის ისტორია ითვლის დაახლოებით 2.000 წელს.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: ვან დე-ინი, ცზია ფუ-ცაო, ლიუ დახაი, იან ცზი-მინი და მა ცინ-ცზუნი (აღსანიშნავია, რომ ამ ჭიდაობაში დაწესებულია ქვემსუბუქი, მსუბუქი, საშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონები).

ⓞ **ვარშავა.** აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფრენბურთში ვარშავისა და ოდესის ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

ⓞ **პრაღა.** საერთაშორისო მატჩი ჰოკეიში სოკოლოვის „სპარტაკსა“ და ინგლისის პროფესიონალურ გუნდს „ბრაიტონის ვეფხვებს“ შორის დამთავრდა ფრედ — 3:3.

ⓞ **ათენი.** ადგილობრივი საფეხბურთო კლუბი — აეკ-ი შეხვდა ვენის „რაპიდს“. ავსტრიელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:0.

ⓞ **ტრიესტი.** დიდი ინტერესი გამოიწვია ამხანაგურმა შეხვედრამ კალათბურთში ადგილობრივ „ტრიესტინასა“ და ბრატისლავის „სლავიას“ შორის. იგი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 56:46.

ⓞ **პარიზი.** საფრანგეთის ახალი რეკორდი სიმძიმეების აწევაში დაამყარა საშუალო წონის შტანგისტმა ქერბორმა. ჰოლანდიისა და საფრანგეთის ძალოსანთა შეხვედრისას მან სამჭიდის ჯამში დააგროვა 342,5 კილოგრამი.

ⓞ **კაირო.** საცურაო მარათონული ესტაფეტა სუეცის არხში, რომლის დისტანცია უდრიდა 170 კილომეტრს (ეტაპის ცვლა ყოველ 10 კილომეტრზე) მოიგო ეგვიპტის არმიის ნაკრებმა გუნდმა, რომლის დროა — 44 საათი, 36 წუთი.




გადარჩენის იმედმა ბარბაცით წამოაყენა ორივე სტუდენტი. მათ ვერტმფრენის ბნელი ლანდი შეამჩნიეს და სწორედ მაშინ, როდესაც ისინიც შენიშნეს ზევიდან. თითქოს რაღაც უხილავი ძალით დაინარცხა მანქანა მიწას. ლითონისა და შუშის მტვრევის ხმამ დასძალა ძლიერი ქარბუქი. ძლივს მიფოფხდნენ ისინი უბედურების ადგილთან. მანქანიდან უკვე გამოსულიყო მაშველი [illegible]

[illegible] ყოვნებისათვის. ვერტმფრენი კი, რომელსაც ყველას წაყვანა შეეძლო, დამსხვრეული ეგდო თოვლში. ჟანსა და ფრანსუას საძილე ტომრები და პროდუქტები დაუტოვეს, თვითმფრინავთან მიიყვანეს, სადაც უკეთ დაიცავდნენ თავს ყინვისა და ქარბუქისაგან. ხვალ კი შესაძლებელია სხვა ვერტმფრენით გადმოიყვანონ ისინი.

ჟანი და ფრანსუა ვითარებას დაემორჩილნენ — მათ იცოდნენ, რომ ასეთ მდგომარეობაში მაშველ ჯგუფს მეტის გაკეთება არ შეეძლო, ვინაიდან მათ სიარულიც არ ძალუძდათ. მაშველი ჯგუფის წევრები ვაუჩინარდნენ ქარბუქში. იმედდაკარგული თვალები გააყოლეს მათ ჟანმა და ფრანსუამ...

* * *

უძინარი, მკაცრი გამომეტყველებით იჯდა მაიორი ლე-გალი რადიოსთან. მთამსვლელებს და ვერტმფრენის ეკიპაჟს შეაგვიანდათ.

— ალლო, შამონი! გისმენთ შამონი! მოგვახსენე! მაიორი ლე-გალი აპარატთანაა! — და მას ასეთი ამბავი აუწყეს:

[illegible]

და ახალი მანქანა ითხოვა. მეორე დღეს ის თვითონ გაფრინდა მონბლანისაკენ.

ქარიშხალი ვერტმფრენს ნაფოტივით ტყორცნიდა აქეთ-იქით. მაიორმა მანქანა ჯერ იქ მიიყვანა, სადაც კატასტროფა მოხდა და ორი სტუდენტი ეგულებოდა. ხილვადობა ძლიერ ცუდი იყო, განსაკუთრებით კი აქ, მწვერვალთან. ვერც მაიორმა და ვერც მფრინავმა ვერ შეამჩნიეს ღრმა თოვლით დაფარული, დამსხვრეული ვერტმფრენი და სიკვდილთან მებრძოლი ჟანი და ფრანსუა. ორი სტუდენტი ვერტმფრენის კაბინაში მიკრობოდნენ ერთმანეთს... ამ უბანზე ჩამოსვლის არავითარი შესაძლებლობა არ იყო — მფრინავი ბულეტი უარყოფის ნიშნად აქნევდა თავს. შემდეგ მან ქვევით, ქოხზე მიუთითა. მაიორი დაეთანხმა: ჯერ ეს ხალხი მაინც გაანთავისუფლონ ყინულის ტყვეობიდან! და მათ დაიწყეს ისეთი გაბედული მაშველი ოპერაციები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს მფრინავ ბულეტს. ორი გაფრენით გამოიყვანა მან მთამსვლელები და ვერტმფრენის ეკიპაჟი სამშვიდობოს.

ამაღელვებელი იყო განწირულთა გადმოყვანის სცენა! შამონის ყველა მცხოვრებს მოეყარა თავი. მათ შორის ჟან ვინცენდონის მშობლებიც იყვნენ. დამწუხრებული უყურებდა ლე-გალი ამ მოხუცებს. უკვე მე-13 დღე გავიდა, რაც ჟანი და ფრანსუა მთის ტყვეობაში იყვნენ.

ლე-გალი ფიქრობდა იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც დაკისრებული ჰქონდა მას. ამოწურული არ არის გადარჩენის ყველა საშუალება, მაშველი ოპერაციები უნდა გაგრძელდეს. 8 ადამიანი მძიმე მოყინულობით საავადმყოფოში წევს. და აქვს თუ არა მას უფლება, კიდევ [illegible]

— მაიორო! [illegible] ტერაი, — [illegible] ვერტმფრენით, მაგრამ — უშედე[illegible] გოდ. მე განვიზრახე ფოლადის ბაგირის კიბით ჩავსულიყავი, მაგრამ ქარიშხლის გამო ესეც ვერ მოხერხდა. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გამოინახოს ახალგაზრდების გადარჩენის შესაძლებლობა!

— დიახ, ტერაი, მეც ამას ვცდილობ! — უპასუხა ლე-გალმა.

ის საავადმყოფოში დაბრუნდა, სადაც რვა მთამსვლელი ინახულა. შემდეგ თავის ხალხს მოუხმო. მათ შორის იყვნენ ჟან ვინცენდონის მშობლებიც. ისინი გრძნობდნენ, თუ რას ნიშნავდა ეს თათბირი. დედა ემუდარებოდა... ვაილო კარი და თავჩაღუნულმა მაიორმა ლე-გალმა წარმოთქვა:

— ჩვენ ვწყვეტთ მაშველ ოპერაციებს.

მშობლებმა თავი დახარეს. მაიორის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა შამონის მთამსვლელთა კავშირმა. აღარავის სჯეროდა, რომ სტუდენტები ცოცხლები იყვნენ და ამიტომ მორიგი მსხვერპლის გაღება უაზრო იყო. მაგრამ ყველა როდი დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას.

—თუ ადამიანი განსაცდელში იმყოფება, უნდა ვუშველოთ მას სიცოცხლის დაუზოგავად! — ასეთი იყო ზოგიერთის აზრი, მაგრამ მას ბევრი კატეგორიულად წინაღუდგა.

შვეიცარელი მფრინავი ჰერმან ჰეიგერიც მოფრინდა შამონის აეროდრომზე თავისი სპორტული მანქანით, რომელიც მთაში ფრენისათვის და თოვლზე დასაჯდომად იყო მოწყობილი, მაგრამ მასაც გადაათქმევინეს მონბლანისაკენ გაფრენა... ჟან ვინცენდონის მოხუც მშობლებსაც გადაუწყდათ იმედი, რომ მთაში დარჩენილნი ცოცხლები იქნებოდნენ.

მონბლანის მასივს ქარიშხალი [illegible]

* * *

მხოლოდ გაზაფხულზე შეძლეს 23 წლის ფრანგი ჟან ვინცენდონის და მისი მეგობრის 24 წლის ბელგიელი ფრანსუა ჰენრის ცხედრების ჩამოტანა.

**ჯ. ვრიდი.**

დასასრული. იხ. „ლელო“ № 7 (1177).

## გერ უარს ამბობს

მიუნხენში შედგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჰოკეისტთა კავშირის სამმართველოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ დასავლეთ გერმანია მონაწილეობას არ მიიღებს 1958 წლის მსოფლიო პირველობაზე შაიბიან ჰოკეიში.

**რედაქტორი ი. უზულავა**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-31, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. უე 00221